

შპს ARCON

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	5
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	6
განმარტებითი შენიშვნები	7
ბოლო გვერდი	12

შპს „ARCON“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ერთეულ ლარში

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
აქტივები		
<i>მიმდინარე აქტივები</i>		
ფულადი სახსრები	275,196	56,133
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	564,115	1,462,479
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავლები	1,811,662	1,580,468
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	782,194	880,603
წინასწარ გადახდილი გადასახადები		
სულ მიმდინარე აქტივები	3,433,167	3,979,683
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	2,407,973	2,344,869
სულ გრძელვადიანი აქტივები	2,407,973	2,344,869
სულ აქტივები	5,841,140	6,324,552
ვალდებულებები		
<i>მიმდინარე ვალდებულებები</i>		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	326,691
მიღებული ავანსები	519,367	22,060
მიმდინარე სასესხო ვალდებულება	824,250	1,395,194
საგადასახადო ვალდებულება	37,763	99,172
სულ მიმდინარე ვალდებულებები	1,381,380	1,843,117
სულ ვალდებულებები	1,381,380	1,843,117
საკუთარი კაპიტალი		
გაუნაწილებელი მოგება	4,459,760	4,481,435
სულ საკუთარი კაპიტალი	4,459,760	4,481,435
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი	5,841,140	6,324,552

ხელმოწერილი პირი:

დირექტორი

შპს „ARCON“

სრული შემოსავლების ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ერთეულ ლარში

	2022
ამონაგები	3,617,594
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	(2,851,010)
საერთო მოგება	765,584
ადმინისტრაციული ხარჯი	(961,026)
სხვა შემოსავალი	82,063
საპროცენტო შემოსავლები	118,564
საპროცენტო ხარჯები	(48,190)
საოპერაციო მოგება	(43,005)
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	178,914
წმინდა ზარალი/მოგება	135,909
მოგების გადასახადის ხარჯი	(23,638)
წმინდა ზარალი/მოგება	112,271

ხელმოწერილი პირი:

დირექტორი

შპს „ARCON“

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ერთეულ ლარში

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
31 დეკემბერი, 2019	-	4,481,435	4,481,435
პერიოდის მოგება	-	112,271	112,271
გაცემული დივიდენდი	-	(133,947)	(133,947)
31 დეკემბერი, 2020	-	4,459,760	4,459,760

ხელმოწერილი პირი:

დირექტორი

შპს „ARCON“

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერი
ერთეულ ლარში

	2022
მოგება დაბეგვრამდე	135,910
კორექტირება	
ცვეთა და ამორტიზაცია	392,981
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	
(ზრდა)/კლება სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	898,363
(ზრდა)/კლება გადახდილ ავანსებში	(12,178)
კლება/(ზრდა) სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	98,410
(ზრდა)/კლება წინასწარ გადახდილ გადასახადებში	(85,047)
ზრდა/(კლება) სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	329,646
(კლება)/ზრდა სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	497,307
ფულადი ნაკადების შემოსვლა საოპერაციო საქმიანობიდან	1,596,100
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	
ძირითადი საშუალებების შეძენა	(456,084)
ფულადი ნაკადების გასვლა საინვესტიციო საქმიანობიდან	(456,084)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან	
სესხის აღება	118,382
სესხის გადახდა	(659,325)
სესხის გაცემა	(216,064)
დივიდენდის გადახდა	(133,947)
ფულადი ნაკადების შემოსვლა საფინანსო საქმიანობიდან	920,954
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა/(შემცირება)	(219,063)
საკურსო სხვაობა ფულად სახსრებზე	-
ფულადი სახსრები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	56,133
ფულადი სახსრები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	275,196

ხელმოწერი პირი:

დირექტორი

შპს „ARCON“

შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებებზე 2022 წლის 31 დეკემბერი
ერთეულ ლარში

1. შესავალი

კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „ARCON“ არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (ს/წ 404 391 298) , რომელიც დაფუძნებულია და მდებარეობს საქართველოში, 2010 წლის 30 ნოემბრიდან. საქართველოს კანონმდებლობის და დებულებების შესაბამისად. რეგისტრაციის მისამართია: საქართველო, თბილისი, კრწანისის რაიონი, გორგასლის ქ., №53.

კომპანიის მესაკუთრეები არიან - 40% ზაზა კალანდია, 30% არჩილ სალთხუციშვილი, 30% ვალერიან ზარდანია.

კომპანიის ყოველდღიურ საქმიანობას წარმართავს კომპანიის დირექტორი - ზაზა კალანდია.

შპს „ARCON“-ის საქმიანობას წარმოადგენს საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა.

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

შესაბამისობის პრინციპი

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით და ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოების (IFRS for SME) 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძალაში მყოფი საერთაშორისო სააღრიცხვო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული სტანდარტების და ინტერპრეტაციების შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგებები შედგება 2022 წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, 2021 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგების, 2022 წლის ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებების და განმარტებითი შენიშვნებისგან.

შეფასების საფუძველი

შეფასების საფუძვლად გამოყენებულია ისტორიული ღირებულების საფუძველი. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკით სხვაგვარად არის განსაზღვრული.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

მენეჯმენტმა მოამზადა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები ფუნქციონირებადი საწარმოს განგრძობითობის რისკის დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, ფულადი სახსრების მოძრაობა, კომპანიის ოპერაციების წამგებიანობა და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე წვდომა, ანგარიშის პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების მაჩვენებელი, ხდება აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულების შეფასება და შედარება მის საბალანსო ღირებულებასთან. იმ შემთხვევაში თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება მცირდება მის შეფასებულ ანაზღაურებად ღირებულებამდე, და გაუფასურების ზარალი აღიარდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის, მარაგები ფასდება გაუფასურებაზე, თითოეული მარაგის ელემენტის (ან მსგავსი მარაგების ჯგუფის) საბალანსო ღირებულების შედარებით გასაყიდ ფასთან, რომელიც შემცირებულია პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით. თუ მარაგი (ან მსგავსი მარაგების ჯგუფი) გაუფასურებულია, საბალანსო ღირებულება მცირდება მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასამდე, და გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (მარაგების შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის კომპენსირების თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლითი ტრანზაქციებში გამოყენებისაგან აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი მოვლენები.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების მუხლები ფასდება თვითღირებულებით, რომელსაც დაკლებული აქვს ცვეთა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით.

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს მიეწოდება საქონელი და გადაეცემა საკუთრების უფლება.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებას. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ეფუძნება წლის განმავლობაში განაწილებულ დასაბეგრ მოგებას.

მარაგები

მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები. თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ძირითადად გაყიდვები ხორციელდება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში თუ საკრედიტო ვადა აღემატება სტანდარტულ საკრედიტო ვადას, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება უნდა გადაიხედოს, რათა მოხდეს იმის განსაზღვრა არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ მოთხოვნები არ არის ამოღებადი. ასეთ შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებებს, რომლებიც წარმოიქმნება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და ვალდებულებებს არ ერიცხება პროცენტი. უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკუროს სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

შპს „ARCON“

შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებებზე 2022 წლის 31 დეკემბერი
ერთეულ ლარში

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც იგი გაწეულ იქნა.



შპს „ARCON“

შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებებზე 2022 წლის 31 დეკემბერი
ერთეულ ლარში

3. ფულადი სახსრები

ფულადი სახსრები	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	27,227	49,698
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	247,911	6,353
სულ ფულადი სახსრები	275,138	56,051

4. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
სავაჭრო მოთხოვნები	564,115	1,462,479
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	564,115	1,462,479

5. გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები აქტივები

გადახდილი ავანსები	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
გადახდილი ავანსები	323,419	308,289
დარიცხული მისაღები აქტივები	1,488,243	1,272,179
სულ გადახდილი ავანსები	1,811,662	1,580,468

6. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
მზა პროდუქცია	716,795	716,795
სხვა მარაგი	65,399	163,808
სულ სასაქონლო-მატერიალური მარაგები	782,194	880,603

7. ძირითადი საშუალებები

	მიწა	დაუმთავრ ებელი შენობა	შენობა	მანქანა- დანადგარ ი	ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტ ო საშუალებები	სულ
ღირებულება							
31 დეკემბერი 2021	536,000	645,775	560,593	843,818	29,948	481,187	3,097,321
შეძენა	-	74,552	720,327	187,239	103,728	102,200	467,718
გაყიდვა/გაცემა	-	(720,327)	-	(38,764)	-	-	(38,764)
31 დეკემბერი 2022	536,000	0,00	1280,919	992,292	133,676	583,387	3,526,275
დაგროვილი ცვეთა							
31 დეკემბერი 2021	-	-	218,257	444,319	14,467	75,410	752,452
ცვეთა	-	-	121,361	112,318	27,663	104,511	365,853
31 დეკემბერი 2022	-	-	339,617	556,637	42,130	179,921	1,118,305
ნარჩენი ღირებულება							
31 დეკემბერი 2021	536,000	645,775	342,337	399,498	15,482	405,776	2,344,869
31 დეკემბერი 2022	536,000	0,00	941,302	435,655	91,546	403,466	2,407,971

8. სესხები

შპს „ARCON“

შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებებზე 2022 წლის 31 დეკემბერი
ერთეულ ლარში

გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
გრძელვადიანი სესხის ძირი თანხა	820,162	1,392,453
გრძელვადიანი სესხის პროცენტი		
სულ სასესხო ვალდებულება	820,162	1,392,453

9. ამონაგები

ამონაგები	2022
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	3,617,594
ამონაგები	3,617,594

10. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	2022
მასალის ღირებულება	2,852,010
სულ რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	2,852,010

11. ადმინისტრაციული ხარჯები

ადმინისტრაციული ხარჯები	2022
ხელფასის ხარჯი	386,621
ცვეთის ხარჯი	392,981
სხვა ხარჯი	181,424
სულ ადმინისტრაციული ხარჯები	961,025

12. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მნიშვნელოვანი მოვლენები არ დაფიქსირებულა.

13. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ეს ფინანსური ანგარიშგება მენეჯმენტმა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა
2023 წლის 29 სექტემბერს.